

ხელეფულა-3 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

შემოკლებები:

EBRD: რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი

E&S: გარემოსდაცვითი & სოციალური

ESIA: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება

HSEMP: ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმა

ESHS: გარემოს, სოციალური, ჯანმრთელობისა & უსაფრთხოების დაცვა

ESMS: ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სისტემა

KE: შპს „ხელეფულა ენერჯი“

PR: სამოქმედო სტანდარტები (EBRD-ს „გარემოსა და სოციალური დაცვის პოლიტიკით“ დადგენილი)

SEP: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

SP: დამატებითი (ESIA) პაკეტი

‘წელი 1’, ‘წელი 2’ და ა.შ. ნიშნავს კალენდარულ წლებს (1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით), რომელთა ათვლა იწყება EBRD-სთან ფინანსური ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ (წელი 0).

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
PR1	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მართვა					

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
1.1	<p>ESHS მენეჯერი: ESAP-ისა და გარემოს, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების (მათ შორის ESIA-ისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების) შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა KE-ში. ESHS მენეჯერი ანგარიშვალდებული იქნება უშუალოდ KE-ს გენერალური მენეჯერის წინაშე.</p>	E&S მოთხოვნების შესრულება	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR1	KE-ს მენეჯმენტი	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე	<p>პასუხისმგებლად დანიშნულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი.</p> <p>პასუხისმგებელი პირის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია მიეწოდა EBRD-ს.</p>
1.2	<p>ESMS: მშენებლობის პერიოდი ISH და OHSAS სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ESMS-ის დანერგვა წინასამშენებლო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის.</p>	E&S მართვის სისტემა	EBRD PR1 საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება	KE ESHS მენეჯერი, პერსპექტივაში კონსულტანტის დახმარებით	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე	<p>ESMS შემოღებულია და ხორციელდება ESHS მენეჯერის მიერ ISO-სთან შესაბამისობა დადასტურებულია მესამე მხარის მიერ</p>

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
1.3	<p>ESIA, გარემოზე ზემოქმედების ნებართვა და ESIA-ის დამატებითი პაკეტი გზშ-ის ანგარიშით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვითა და დამატებითი გზშ-თი (მათ შორის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმით, სოციალური სამოქმედო გეგმით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სამოქმედო გეგმით) წინასამშენებლო, სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზებისათვის მოთხოვნილი თითოეული ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება KE-სა ან კონტრაქტორებისთვის მათი ეფექტურად განხორციელების ორგანიზება/ მონიტორინგი</p>	E&S მოთხოვნების შესრულება	საქართველოს კანონმდებლობა	KE ESHS მენეჯერი	ESIA-ის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ESIA-ის დამატებითი პაკეტის შესაბამისად	ESIA-ით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვითა და ESIA-ის დამატებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება დაეკისრათ KE-სა და მის კონტრაქტორებს, რომელთაც განახორციელეს ეს ქმედებები.
1.4	<p>ნებართვები და უფლებამოსილება: გარემოს დაცვის, სოციალურ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროებში საჭირო ყველა იმ ნებართვისა და უფლებამოსილების მოპოვება და შენარჩუნება, რომელთა ქონაც პროექტს ევალება.</p>	საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა	საქართველოს კანონმდებლობა	KE ESHS მენეჯერი	ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.	ნებართვები და უფლებამოსილება მოპოვებული და შენარჩუნებულია.
1.5	<p>შიდა E&S მონიტორინგი: ESHs მენეჯერის მიერ ყოველთვიური შიდა მონიტორინგის განხორციელება ESAP-ით გათვალისწინებული ქმედებებისა და ESIA-ის/ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოთხოვნების ეფექტურად შესრულების დადასტურების მიზნით.</p>	E&S ვალდებულებები ს შესრულება	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR1	KE ESHS მენეჯერი	მთელი სასესხო პერიოდის განმავლობაში	მომზადებულია ყოველთვიური შიდა ანგარიშები.

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
1.6	<p>E&S ანგარიშგება EBRD-ს წინაშე EBRD-ისთვის ანგარიშების წარდგენა შემდეგ საკითხებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ESAP-ის განხორციელების მდგომარეობა • პროექტის საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლები 	მონიტორინგი	EBRD PR1	KE ESHS მენეჯერი, EBRD-ის მიერ წარმოდგენილი ფორმატით	<p>მშენებლობის პერიოდში ყოველ ექვს თვეში ერთხელ</p> <p>მშენებლობის დასრულების შემდგომ ყოველწლიურად, ფინანსური ხელშეკრულების დასრულებამდე</p>	ანგარიშები წარდგენილია EBRD-ში და დამტკიცებულია
1.7	<p>ESMS: ექსპლუატაციის პერიოდი KE-სთვის სერტიფიცირებული ინტეგრირებული მართვის სისტემის (ISO9001 – ISO14001 – ISO26001 და ISO 45001) შემუშავება და ამოქმედება.</p>	E&S მართვის სისტემა	EBRD PR1 საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება	KE ESHS მენეჯერი, პერსპექტივაში კონსულტანტის დახმარებით	შემუშავება: ექსპლუატაციის დაწყებამდე დანერგვა და სერტიფიცირება: ექსპლუატაციის პერიოდში	ESMS-ი შემუშავებულია, დანერგილია და სერტიფიცირებულია. სერტიფიკატი შენარჩუნებულია.
1.8	<p>კონტრაქტორების HSEMP თითოეული კონტრაქტორის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმის (HSEMP) განხილვა, დამტკიცება და განხორციელების ეფექტურობის მონიტორინგი. კონტრაქტორების დავალებულდება, რომ მაკორექტირებელი ქმედებები შეიმუშაონ და განახორციელონ ყველა იმ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რომელთა თაობაზეც KE-ს ან საკრედიტო ინსტიტუტებიდან მიიღეს შეტყობინება.</p>	სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობა	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR1	KE ESHS მენეჯერი	მშენებლობამდე და მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში	კონტრაქტორებმა შეიმუშავეს და განახორციელეს HSEMP, ხოლო KE-მ დაამტკიცა ეს დოკუმენტი და უზრუნველყოფს მისი განხორციელების მონიტორინგს

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
1.9	<p>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა</p> <p>ადგილობრივ ეკონომიკაზე დადებითი ზემოქმედების მიზნით, მოსახლეობის მხარდაჭერის გეგმის შემუშავება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობითა და შიდა დაინტერესებული მხარეების (დასაქმებულები/ მუშახელი) ჩართულობით.</p>	მოსახლეობის მხარდაჭერა	EBRD PR1	KE ESHS მენეჯერი	ექსპლუატაციამდე და ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში	მოსახლეობის მხარდაჭერის გეგმა მომზადებულია ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე და განხორციელებულია ექსპლუატაციის ფაზაზე
PR2	მუშახელი და შრომის პირობები					
2.1	<p>ადგილობრივების დასაქმება</p> <p>ადგილობრივ გარემოებებზე მორგებული დასაქმების გეგმისა და საკადრო პოლიტიკის შემუშავება PR2-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. ადგილობრივების დასაქმების საკითხის მონიტორინგი კონტრაქტორების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე.</p>	ადგილობრივების დასაქმება	EBRD PR2 საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება	KE ESHS მენეჯერი	მშენებლობის დაწყებამდე	განხორციელებულია ადგილობრივი მუშახელის შესახებ მონაცემების მონიტორინგი და ეს ინფორმაცია შეტანილია EBRD-ში რეგულარულად წარდგენილ 6 თვიან ანგარიშებში.
2.2	<p>საკადრო პოლიტიკა</p> <p>საკადრო პოლიტიკის შემუშავება საქართველოს კანონმდებლობისა და EBRD PR2-ის მოთხოვნების შესაბამისად და მის შესახებ თანამშრომლების სათანადოდ ინფორმირება.</p>	საკადრო პოლიტიკა	EBRD PR2 საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება	KE-ს მენეჯმენტი	ექსპლუატაციის დაწყებამდე	საკადრო პოლიტიკა გასაჯაროვებულია

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
2.3	<p>საკადრო აუდიტები: კონტრაქტორების მუშახელის კვარტალური აუდიტის განხორციელება იმის გადასამოწმებლად, რომ სამუშაო უზნებზე დასაქმებული პირები ლეგალურად არიან დაქირავებულნი, როგორც ამას PR2 მოითხოვს.</p> <p>მუშახელის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების შემოწმება მშენებლობამდე და ყოველთვიურად, EBRD-ის დოკუმენტის „სახელმძღვანელო მითითებები მუშახელის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების თაობაზე“ მოთხოვნების გათვალისწინებით.</p>	შრომის კოდექსი	EBRD PR2 ქვეყნის კანონმდებლობა	KE ESHS მენეჯერი	მშენებლობამდე და მშენებლობის დროს	საკადრო აუდიტები განხორციელებულია და შეუსაბამობები აღმოფხვრილია.
2.4	<p>მუშახელის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები მუშათა ბანაკის დაპროექტება, განლაგება და ფუნქციონირება EBRD-ს დოკუმენტის „სახელმძღვანელო მითითებები მუშახელის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების თაობაზე“ მოთხოვნების შესაბამისად</p>	მუშახელის საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები	EBRD PR2	კონტრაქტორები, KE-ს მოთხოვნით	მშენებლობის პერიოდის დაწყებამდე	<p>მოთხოვნები შეტანილია კონტრაქტორებისთვის დადგენილ პირობებში</p> <p>KE ახორციელებს სახელმძღვანელო მითითებების განხორციელების ეფექტურობის მონიტორინგს.</p>
PR3	რესურსეფექტურობა და დაბინძურების თავიდან აცილება და მართვა					
3.1	<p>მყარი ნარჩენების მართვა ჰესის ნარჩენების ისეთი გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელშიც ცალკეა განხილული: (i) საყოფაცხოვრებო ნარჩენები, (ii) საწარმოო ნარჩენები და (iii) ხის ნარჩენები (მდინარის მიერ ჩამოტანილი)</p>	ნარჩენების მართვის პრობლემები	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR3	KE ESHS მენეჯერი	<p>შემუშავება: ექსპლუატაციის დაწყებამდე</p> <p>განხორციელება: ექსპლუატაციის პროცესში</p>	გეგმა შემუშავებული და განხორციელებულია

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
3.2	ჰერბიციდების/ პესტიციდების მოხმარების აკრძალვა პესტიციდების და ჰერბიციდების მოხმარების აკრძალვა მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდებში	დაბინძურების მართვა	EBRD PR3	KE-ს შიდა რესურსები	მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე	პესტიციდები/ ჰერბიციდები არ გამოიყენება
3.3	ზეთის მოხმარება შესყიდული, გადამუშავებული და განთავსებული ზეთის (ტურბინის, ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური მოწყობილობების) მოცულობის აღრიცხვა. ზეთის მოხმარების საკითხის შეტანა ISO 14001 სისტემაში.	დაბინძურების თავიდან აცილება	EBRD PR3	KE ESHS მენეჯერი	ექსპლუატაციის პერიოდში	წარმოებს ახალი და ნამუშევარი ზეთების მოცულობის მონიტორინგი, დაბინძურება გამოვლენილია და მაკორექტირებელი ქმედებები გატარებულია ISO 14001-ის მუდმივი გაუმჯობესების მიდგომით.
3.4	წყლის ხარისხის მონიტორინგი: საგენერატორო შენობიდან ჩაშვებული წყლის ხარისხის მონიტორინგი მდ. ცხენისწყალში მოხვედრამდე. პარამეტრები: ტემპერატურა, pH, სიმღვრივე, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნიტრატები, ფოსფატები, მძიმე ლითონები, ჟანგბადის ქიმიური მოხმარება.	წყლის ხარისხის კონტროლი	EBRD PR3	KE ESHS მენეჯერი	ექსპლუატაციის პერიოდში, წელიწადში ორჯერ, აპრილსა და სექტემბერში	მონიტორინგი განხორციელებულია და შედეგები გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
PR4	ჯანდაცვა და უსაფრთხოება					
4.1	<p>კონტრაქტორების მიერ ჯანმრთელობისა & უსაფრთხოების საკითხების მართვა</p> <p>პროექტის შემთხვევაში კონტრაქტორებს მოეთხოვებათ შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> - HSE (ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის) მენეჯერის დანიშვნა - თავიანთ HSE მართვის გეგმებში შეიტანონ ღონისძიებები, რომელებიც უზრუნველყოფს შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და EBRD-ს E&S პოლიტიკასთან. ეს ღონისძიებები სულ მცირე უნდა ასახავდეს ESIA-ის დამატებითი პაკეტის მოთხოვნებს მოცემულ HSEMP-სთან დაკავშირებით. 	<p>ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვა</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR4</p>	<p>კონტრაქტორები, KE-ს მოთხოვნით</p>	<p>მშენებლობის პერიოდის დაწყებამდე</p>	<p>მოთხოვნები შეტანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.</p> <p>კონტრაქტორებმა KE-ში დასამტკიცებლად წარადგინეს HSE მართვის გეგმები.</p> <p>KE ახორციელებს HSE გეგმების განხორციელების ეფექტურობის მონიტორინგს.</p>
4.2	<p>მუშახელის პირველადი HSE ტრენინგის</p> <p>პირველადი HSE ტრენინგის ჩატარება პროექტში დასაქმებული ყველა პირისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამუშაო უბნებზე დაწესებული HSE წესები (გათვალისწინებული უნდა იქნას ქმედება 4.1) - ცნობიერების ამაღლების ტრენინგი გველებსა და ტკიპებთან დაკავშირებული რისკების შესახებ: პრევენციული ღონისძიებები, პირადი დაცვის საშუალებები, ნაკბენების მართვა და დაკბენის შემთხვევაში გასატარებელი პირველი სამედიცინო დახმარება. - ბიომრავალფეროვნების დაცვა (იხ. ქმედება 6.1) 	<p>მუშახელის დაცვა</p>	<p>EBRD PR4</p>	<p>კონტრაქტორები, KE-ს მოთხოვნით</p>	<p>სამშენებლო პერიოდში. პირველად ტრენინგზე მუშახელმა მიიღო სათანადო ინსტრუქტაჟი.</p>	<p>მუშახელი ინფორმირებულია, იწარმოება ტრენინგების აღრიცხვის ჟურნალი.</p>

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
4.3	<p>მუშახელის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p> <p>ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შეფასება. პროექტის მუშახელსა და საქმიანობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტატისტიკის წლიური აღრიცხვიანობა. საგანგებო სიტუაციების გამომწვევი მიზეზების, მათში დაშვებული პირების ასაკისა და სქესის, საშიშროების ხარისხის (მათ შორის პოტენციურად საშიში სიტუაციების), დაზიანებული პირების მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციის ადგილის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა. ამ სტატისტიკის მიწოდება KE-სთვის და OHSMS-ის მუდმივად გაუმჯობესება.</p>	მუშახელის დაცვა	EBRD PR4	კონტრაქტორები, KE-ს მოთხოვნით	მშენებლობის პერიოდში	სტატისტიკა იწარმოება და ეს ინფორმაცია შეტანილია EBRD-ში წარდგენილ რეგულარულ ანგარიშებში.

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
4.4	<p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</p> <p>საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით იმ სტატისტიკური მონაცემების წლიური აღრიცხვიანობის წარმოება, რომლებიც კავშირშია პროექტის საქმიანობასთან. საგანგებო სიტუაციების გამომწვევი მიზეზების, მათში დაშავებული პირების ასაკისა და სქესის, საშიშროების დონის, დაზიანებული პირების მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციის ადგილის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა. ამ სტატისტიკის გამოყენება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მუდმივად გაუმჯობესების მიზნით.</p>	საზოგადოების დაცვა	EBRD PR4	KE ESHS მენეჯერი	დაწყებული წელი 0-იდან ფინანსური ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში	<p>სტატისტიკა იწარმოება და ეს ინფორმაცია შეტანილია EBRD-ში წარდგენილ რეგულარულ ანგარიშებში.</p> <p>სტატისტიკის საფუძველზე განხორციელებული რისკის შემამცირებელი ქმედებები.</p>
4.5	<p>მდ. წანაშის კალაპოტის გაწმენდა მსხვილი ნატანისაგან</p> <p>ნატანის ხელოვნურ რეცხვასთან ერთად წანაშის მოსახლეობის მხარდაჭერა მექანიკური საშუალებებით (მაგ., ექსკავატორით) მდ. წანაშის კალაპოტის ქვედა ნაწილში და მდ. ხელედულასთან შესართავთან დაგროვებული მსხვილი ნატანის მოცილების მიზნით.</p>	მოსახლეობის დაცვა და მხარდაჭერა	საუკეთესო გამოცდილება	KE ESHS მენეჯერი, წანაშის მოსახლეობის თანამონაწილეობითი მონიტორინგის მეშვეობით.	მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე	მდ. წანაშის კალაპოტის ქვედა ნაწილში და შესართავში მსხვილი ნატანი დაგროვებული არაა.

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
4.6	<p>საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მართვის გეგმა:</p> <p>საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მართვის გეგმის მომზადება, სადაც საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების (უსაფრთხოების ნიშნების განთავსება სამუშაო უბნების გარშემო საზოგადოების ინფორმირების მიზნით) და მართვის ღონისძიებები გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზისათვის</p>	საგანგებო სიტუაციებისათვის მზაობა	საუკეთესო გამოცდილება EBRD PR4	KE ESHS მენეჯერი	მშენებლობის დაწყებამდე	<p>გეგმა მომზადებულია და წარდგენილია EBRD-ში.</p> <p>ყოველწლიურად ხდება გეგმის გადახედვა (და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორება)</p>
PR6	ბიომრავალფეროვნება და ცოცხალი ბუნებრივი რესურსები					
6.1	<p>ფაუნის დაცვა</p> <p>საქართველოს ცხოველთა სამყაროს კონსერვაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კომპონენტის გათვალისწინება მუშახელის პირველად ტრენინგებში (იხ. 4.2), რომელიც ფოკუსირებული უნდა იყოს შემდეგ საკითხებზე: (i) ქვეწარმავლების, ამფიბიებისა და წყლის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია; და (ii) ნადირობის მკაცრად აკრძალვა.</p>	ბიომრავალფეროვნების დაცვა	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR6	კონტრაქტორები, KE-ს მოთხოვნით	სამშენებლო პერიოდში. პირველად ტრენინგზე მუშახელმა მიიღო სათანადო ინსტრუქტაჟი.	მუშახელმა გაიარა ტრენინგი
6.2	<p>ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა:</p> <p>ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის (BMP) მომზადება - ბიომრავალფეროვნების რისკების მართვასთან დაკავშირებული ყველა იმ ამოცანისა და ღონისძიების გათვალისწინება, რომლებიც SP-ში წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში.</p>	ბიომრავალფეროვნების მართვა	EBRD PR1 საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება	KE ESHS მენეჯერი, კონსულტანტის დახმარებით	პროექტის დასაწყისიდან	BMP შემუშავებული და განხორციელებულია

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
6.3	<p>თევზსავალის დეტალური საინჟინრო პროექტის შემოწმება: თევზსავალების (დამბა-1-ისა და დამბა-2-ის) საბოლოო საინჟინრო პროექტის, მათ შორის მისი ქვედა ნაწილის მდინარესთან კავშირის, საფეხურების, შესასვენებელი ტბორების, ზედა ნაწილის დამბასთან კავშირის შემოწმება თევზსავალების ექსპერტი მიერ.</p>	ეკოლოგიური უწყვეტობა	EBRD PR6	თევზსავალის ექსპერტი	დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადების ეტაპზე, მშენებლობის დაწყებამდე.	ორი თევზსავალის საინჟინრო პროექტი დამტკიცებულია.
PR8	კულტურული მემკვიდრეობა					
8.1	<p>შემთხვევითი აღმოჩენები: შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურის შემუშავება EBRD PR8-ის შესაბამისად (ფორმატი წარმოდგენილია ESIA-ს დამატებით პაკეტში). მუშახელის ინსტრუქტაჟი შესაძლო შემთხვევითი აღმოჩენების ხასიათისა და მათი მართვის ღონისძიებების თაობაზე.</p>	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR8	კონტრაქტორები, KE-ს მოთხოვნით	<p>პროცედურა შემუშავებულია სამუშაოების დაწყებამდე.</p> <p>პირველად ტრენინგზე მუშახელმა მიიღო სათანადო ინსტრუქტაჟი.</p>	<p>პროცედურა მომზადებულია.</p> <p>მუშახელს ჩაუტარდა ტრენინგი და არსებობს ჩანაწერები ტრენინგის შესახებ.</p>
8.2	<p>ხელედის ეკლესია: ხელედის ეკლესიის ქვემოთ წარმოდგენილი ეროზიული ფერდობის მონიტორინგი და ამ ეროზიის მართვის ღონისძიებების განხორციელება.</p>	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	EBRD PR8	KE	<p>ყოველთვიური ვიზუალური დათვალიერება (სურათები)</p> <p>ეროზიის მართვის ღონისძიებები განსაზღვრული და განხორციელებულია.</p>	<p>ეროზია იმართება.</p> <p>ეროზიის მართვის ღონისძიებები ასახულია დოკუმენტაციაში.</p>

No.	ქმედება	გარემოსდაცვითი & სოციალური რისკები	მოთხოვნა (საკანონმდებლო, EBRD, საუკეთესო გამოცდილება)	რესურსები, მოვალეობები	განხორციელების ვადები	მიზანი და შედეგის წარმატებულობის შეფასების კრიტერიუმები
PR10	ინფორმაციის გასაჯაროება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა					
10.1	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის, მათ შორის გასაჩივრების მექანიზმის განხორციელება.	დაინტერესებულ მხარეების ინფორმირება და მათი ცნობიერების ამაღლება	EBRD PR10	KE ESHS მენეჯერი	SEP-ის გრაფიკის შესაბამისად	SEP განხორციელებულია
10,2	გარემოსდაცვითი ინფორმაციის გასაჯაროება კომპანიის ვებ-გვერდზე შემდეგი E&S მაჩვენებლების ან საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაციის გამოქვეყნება: - წყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი - ეკოლოგიური ხარჯი რეალურ დროში - ამინდის მახასიათებლები - დაინტერესებული მხარეებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია	ინფორმაციის გაზიარება	EBRD PR10	KE ESHS მენეჯერი	ექსპლუატაციის პერიოდში	E&S ინფორმაცია გასაჯაროებულია
10.3	ინფორმაციის გაზიარება გადამცემი ხაზის პროექტის განმახორციელებელთან KE სსე-ს მიაწოდებს ბიომრავალფეროვნების ფონური მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს, ასევე შეძლებისდაგვარად ძალისხმევას მოახმარს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების დახვეწას მიუხედავად მათი დაფინანსების წყაროსი.	მომიჯნავე ობიექტების პროექტების განმახორციელებლების ინფორმირება შესაძლებლობის ფარგლებში	EBRD PR10	KE ESHS მენეჯერი	პროექტის ფინანსური დახურვისას	ბიომრავალფეროვნების ფონური მდგომარეობის ამსახველი მონაცემები გაზიარებული იქნა სსე-სთვის.